



# საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000095100091018

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46  
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 30

07 / მაისი / 2018 წ.

## დადგენილება

**„თვითმმართველი ერთეულის – ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის (საჯარიმო ქვითრის) შედგენაზე უფლებამოსილ პირთა განსაზღვრის შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 დეკემბრის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### მუხლი 1

„თვითმმართველი ერთეულის – ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის (საჯარიმო ქვითრის) შედგენაზე უფლებამოსილ პირთა განსაზღვრის შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 დეკემბრის № 57 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/12/2011, 020080130.35.162.016081) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

#### 1. დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილების უფროსი, ხოლო მისი დავალებით აგრეთვე განყოფილების მესამე რანგის პირველი და მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 49-ე, 51-ე, 51<sup>2</sup>, 51<sup>3</sup>, 52-ე, 53<sup>3</sup>, 55-ე, 55<sup>2</sup>, 55<sup>3</sup>, 63-ე, 64-ე, 65-ე, 65<sup>1</sup>, 66-67-ე, 68-ე, 71-ე, 73-76-ე, 86-ე, 119<sup>1</sup> მუხლებით, 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 127<sup>1</sup> მუხლის მე-5 ნაწილით, 145-ე, 146<sup>1</sup>, 148-ე, 150-ე, 150<sup>1</sup>, 151-ე, 153<sup>4</sup>, 159-ე, 159<sup>1</sup>, 177<sup>8</sup>, 177<sup>9</sup>, 179<sup>2</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;“

#### 2. დადგენილების პირველი მუხლის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, განვვიცისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსი, ხოლო მისი დავალებით სამსახურის მესამე რანგის პირველი და მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტები--საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 196<sup>3</sup>, 196<sup>6</sup> და 197<sup>1</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;“

### მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე

თ ყვარაძე

თამარ ყვინიშვილი